ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

წავა თუ არა საქართველო პანდემიის კიდევ ერთ წრეზე?



გვ.2

პარასკევი, 6 იანვარი, 2023 | №4 (9040) | ფასი: 80 თეთრი

„ზურაბიშვილს ორჯერ ვესაუბრე სააკაშვილზე. ამ ქალს რეაქცია არა აქვს“

გვ.2

გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „ვანო მერაბიშვილმა მოიხადა სასჯელი. ვის რა უფლება აქვს საერთოდ, რომელიმე მოქალაქეს დახვდეს. სად არის ამ დროს შს სამინისტრო?!“

გიული ალასანია: „თუ ჩემი შვილი მოკვდება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაისაჯოთ“

„ნაციონალებში რყევები წყალს ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს“

მურმან დუმბაძე: „28 იანვარს ჩატარდება არჩევნები და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“

გვ.3

გვ.3

„კონსტრუქციული ოპოზიცია თუ გამოჩნდება, „ოცნება“ ყველას ნაცმოძრაობის იარლიყს აწებებს“

გიორგი გაჩეჩილაძე: „დასავლეთიდან რეალურად გეუბნებიან, მაიმუნობას მორჩით, ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხში ნუ შეგყავთო. პოლიტიკურ ჩიხს შემდეგ ათასი უბედურება მოჰყვება“

გია გაჩეჩილაძის სიძე ადასტურებს, რომ ვანო მერაბიშვილს „ხელით შეეხო“

გვ.5

უკრაინა რაკეტებს გამოუშვებს?



გვ.4

5 ესპანეთში ქურდობის ბრალდებით ქართველები დააკავეს

5 ცნობილი ქართველი რეჟისორი გარდაიცვალა

6 უკრაინის დაზვერვის შეფის საინტერესო პროგნოზი

7 ორი ქართველის ერთნაირი მარცხი

1993230720223

„ზურაბიშვილს ორჯერ ვესაუბრე სააკაშვილზე. ამ ქალს რეაქცია არა აქვს“

თაკო ჩარკვიანი: „ვანო მერაბიშვილმა მოიხადა სასჯელი. ვის რა უფლება აქვს საერთოდ, რომელიმე მოქალაქეს დახვდეს. სად არის ამ დროს შს სამინისტრო?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

– ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ახალი წელი დაიწყო ახლისა და უკეთესის მოლოდინით. საკმაოდ მნიშვნელოვანია 2023 წელი, ველოდებით კანდიდატის სტატუსს. როგორ ფიქრობთ, გამოვიყენებთ ამ შანსს თუ დავკარგავთ?

– ერთადერთი, რის იმედიც მაქვს და ვეპოტინები, ცხადია, ჩვენი ხელისუფლების იმედი არანაირად არ მაქვს, ვფიქრობ, რომ დასავლეთი არ გაგვწირავს. იმავე ამერიკის დაფინანსების ასეთი რაოდენობის შესახებაც რომ შევიტყვე, მეტი იმედი ჩამესახა.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს ჩვენს ხელისუფლებაზე მეტად დასავლეთია დაინტერესებული, ჩვენ რომ კანდიდატის სტატუსი მივიღოთ.

– კი, რა თქმა უნდა, ასეა. იმხელა ინვესტიცია აქვს დასავლეთს ჩადებული საქართველოში, არა მგონია, ამ ქვეყანას ასე მარტივად აქციონ ზურგი. საზოგადოების უდიდეს ნაწილსაც უნდა დასავლეთი. სათავეში მოთავსებული ამ პატარა ბანდის გამო ქვეყანა, რომელშიც ამხელა ინვესტიციაა ჩადებული, არ უნდა დაისაჯოს.

– ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად მოხერხდება ეს ყველაფერი?

– ყველაფერი მოხერხდება მონდომების შემთხვევაში. მთავარია, ჩვენ უფრო მეტად აქტიურები ვიყოთ. ეს დაყოფა და დანაწევრება, თუნდაც ის, რა მდგომარეობაც მსხვილ ოპოზიციურ პარტიაშია, სრულიად სამარცხვინოა.

– თავადვე შეეხეთ ამ თემას და ბევრისგან მოვისმინე კრიტიკა, რომ ეს აქცია უნდა ყოფილიყო ერთიანი, უნდა ყოფილიყო ერთ ლოკაციაზე და სწორედ რუსთაველზე უნდა გამოეყვანათ 100 ათასი ადამიანი, თუკი მართლაც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვდნენ. ასე დაშლილად და ოც ადგილას აქციის გამართვა არ იყო ტაქტიკურად სწორი ნაბიჯიო. თქვენ რას იტყვით, რატომ ვერ შეძლო პარტიამ გაერთიანება და აქციის ისე ჩატარება?

– რა თქმა უნდა, მეც ზუსტად ამ აზრის ვარ. ეს საშინელებაა. როგორ შეიძლება ამის გაკეთება. მათ პარტიაში პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ყველა ლიდერს აქვს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მოქმედი თავმჯდომარე ჯერ ხომ ისევ ნიკა მელიაა. ხომ ვერ აიცილებს ამ პასუხისმგებლობას?! შენ რომ აანონსებ აქციას და მერე ზუგდიდში მიდიხარ, მერე აღმოჩნდება, რომ თურმე ზუგდიდშიც ვერ გამოგდის აქცია. თავმჯდომარემ აქცია დააანონსა და შემდეგ თვითონ არ იყო. ეგეთი რაღაც გაგიგონიათ?! ვინმესთვის კიდევ არსებობს რამე კითხვა?!

„ვიღაც ვერშემდგარი, ქარაქუცა ტიპი ბლატაობს იმით, რომ ყოფილი შს მინისტრი დაინახა სადღაც და მიაყენა შეურაცხყოფა. მის მედროვე სიმამრს აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული, რომ სააკაშვილს მილიონს სთხოვდა“

– შიგნით პარტიაში ჭამენ ერთმანეთს, ყველა ლიდერმა თავისთვის მოაწყო აქცია. ასე გამოვა რამე?

– სამარცხვინოა ეს ამბავი. რომ მეუბნებოდნენ, გახსოვთ, ჩვენი პარტიის საქმეებში ნუ ერევითო, რას ჰგავს ეს ყველაფერი, ასე უნდა დაშლილ-დაქუცმაცებულიყო პარტია?!

– ოპოზიციას სთხოვენ გაერთიანებას და თავად ერთი პარტია ვერ ახერხებს ამას.

– აბსოლუტურად გეთანხმებით! ეს ტვირთი კი არის პარტიის მოქმედი თავმჯდომარის კისერზე! ვერ აიცილებს ამას და ამ საკითხზე ოპონირებასაც კი ვერავინ გამიწევს. სწორედ მის მხრებზეა, რომელიც ფიზიკურადაც არ იყო აქციაზე. ხაბეიშვილი გარიგებულიაო და ამ დროს წამყვანი მიტინგი სწორედ მისი იყო. აი, სწორედ ეს არის გარიგება, როგორც მელია იქცევა. რაც მან გაუკეთა ნაციონალურ მოძრაობას, ამის იქით რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა?! გახლიჩა, დაქსაქსა, გააუბედურა პარტია!

– ამ აქციამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა, თუ რა ხდება პარტიაში.

– რა თქმა უნდა, უკვე ისეა სიტუაცია დაძაბული, რომ ამას, არ ვიცი, რა გამოასწორებს და როგორ შეძლებენ ისევ ერთიანობას. გარედან ვუყურებ ამ პროცესებს და, ამ გათიშულობას რომ ვგრძნობდი, იმიტომ ავტეხე განგაში. მაინცდამაინც ეს უნდა მომხდარიყო და ეს უნდა ენახა, რაც გუშინ ნახა საზოგადოებამ?! რაც გუშინ მოხდა, ამას ხომ ვერავინ ვეღარ უარყოფს!

– ძალიან ცუდი სანახავი იყო ოცად დაყოფილი ერთი პარტია...

– ძალიან! ხიდის გავსებაც ვერ მოახერხეს! თავმჯდომარემ კი საერთოდ დაჰკრა ფეხი და ზუგდიდში წავიდა.

– შიდაპარტიულ არჩევნებზე რას ფიქრობენ?

– ვერ გეტყვით, მე ეს ნიუანსები არ ვიცი. როგორც ვიცით, გადავადება მოინდომა მელიამ. მას აწყობს დროის გაწელვა, რადგან ამომრჩეველს ვეღარ ატყუებს. სწორედ მან დაქსაქსა პარტია. მთავარი ოპოზიციური პარტიის მარცხი კი ჩვენთვის ყველასთვის ძალიან ცუდია. მესამე პრეზიდენტი კვდება ციხეში და ცოტა ანგარიში მასაც გაუწიონ. რა დროს დაქსაქსვაა, რა დროს ჯიბრია, რას ჰგავს ეს!

– სააკაშვილის საქმეზე რას ფიქრობთ? წლის ბოლოს ისე დაიძაბა ურთიერთობა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, რომ ყველას ეგონა, პრეზიდენტი სააკაშვილს შეიწყალებდა, თუმცა ასე არ მოხდა.

– მე არ მეგონა. რა წერილიც შევიდა პრეზიდენტთან, ყველას ხელი მოვაწერე. არა აქვს ამ ქალს რეაქცია. მე პირადად ორჯერ ვესაუბრე მას. სურვილები მოდის პრეზიდენტისგან, მაგრამ ეს მოქმედებაში ვერ მოჰყავს.

– რატომ, ვერ ბედავს ბიძინას წინააღმდეგ წასვლას?

– ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ჩანს. გამიხარდება, თუ დროულად მიიღებს გადაწყვეტილებას. არ შეიძლება იმის დაშვება, რაც სააკაშვილის თავს ხდება. ძალიან აღვირახსნილი სიტუაციაა. ამაზე მეტი რა შანსი უნდა ჩაუვარდეს პრეზიდენტს, მე არ ვიცი. რაღაცნაირად უნდა შეძლოს საზოგადოებამ და აიძულოს ეს ხელისუფლება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავი არ მოსჭრან ამ ქვეყანას. უბრალოდ, არ იმსახურებს ჩვენი ქვეყანა ამას. რადგან ნიკა მელიამ ასე დაქსაქსა ეს პარტია, ამიტომ, სადაც ოჯახია, მეც იქ ვარ.

– ქალბატონო თაკო, ასევე ერთ ცუდ ინციდენტზეც უნდა გკითხოთ. თავდასხმა ყოფილ პრემიერსა და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილზე. მსგავსი ინციდენტები რამდენად სახიფათოა? ვანო მერაბიშვილი თუ დამნაშავე იყო, სასჯელიც მოიხადა და ქუჩური გარჩევები რამდენად სწორია?

– ეს არის სამარცხვინო ამბავი! სრულიად სამარცხვინო. ეს არის ვიღაც ქარაქუცა ბიჭის საქციელი, ვითომ ტიპები რომ არიან. ვანო მერაბიშვილს რომ ხვდები აფთიაქში და სახლში რომ გიზის რადიოსიხშირეზე სამშობლოს გამცვლელი, პრინციპების, იდეისა და ღირებულებების გამცვლელი, თანაც რაზე, რადიოსიხშირეზე. მის სიმამრს აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული, ოდესღაც „უცნობს“ და დღეს უკვე ძალიან „ნაცნობს“ თავისი საქციელით. ეს წლიდან წლამდე ფულის მკეთებელი ტიპები! მედროვეობაო და ამ სიტყვის მნიშვნელობა, მგონი, არ იციან. მუდმივად ოპოზიციაში ყოფნა კი არ ნიშნავს მედროვეობას, არა, ბატონო, მუდმივად რომ ხელისუფლების გვერდით ხარ, ნებისმიერი ხელისუფლების, აი, ეგ არის მედროვეობა.

– ძალიან ცუდი ფაქტი იყო...

– საზიზღარი ფაქტი იყო, წარმოუდგენელი რამ. მომხდარის გამო ვანო მერაბიშვილმა მოიხადა სასჯელი. ვის რა უფლება აქვს საერთოდ, რომელიმე მოქალაქეს დახვდეს, ან სად არის ამ დროს შს სამინისტრო, რომელიც ამ სიბინძურეს აყურებინებს საზოგადოებას?! ჩემს სიცოცხლეში, ეკრანის გარდა, თვალით არასოდეს მინახავს ვანო მერაბიშვილი. როგორ ბედავს ვიღაცა ქარაქუცა, მოგონილი ვერშემდგარი ტიპი ამას? გამოდის მერე და ეს ვერშემდგარი ადამიანი ბლატაობს იმით, რომ ყოფილი შს მინისტრი დაინახა სადღაც და მიაყენა შეურაცხყოფა. ეს ქარაქუცა, სიხშირეზე გამცვლელი ოჯახის პატრონი სიმამრი რომ ჰყავს სახლში, რომელიც აღიარებით ჩვენებას აძლევს საქართველოს მოსახლეობას, რომ მილიონები მოსთხოვეს სააკაშვილს მაშინ, როცა ჩვენ ვიბრძოდით. სირცხვილია, ხალხო, 21-ე საუკუნეა, რა დროს ქარაქუცებია. ეს, იცით, როგორი ტიპია? პოლიციის იმედად რომ ტიპებს ხვდებიან. მაგას ჩემს ახალგაზრდობაში სხვა სახელი ერქვა. რა სახელი, მოიკითხოს ოჯახში და ეტყვიან!

გიული ალასანია: „თუ ჩემი შვილი მოკვდება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ დაისაჯოთ“

გიული ალასანიას თქმით, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა უმძიმესია და გადაწყვეტილებები სასწრაფოდ არის მისაღები.

პრეზიდენტის დედის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა გონება დაკარგა და მისი მოსულიერება მედიკოსებს გაუჭირდათ.

– საგანგაშო მდგომარეობაა, მესამე შემთხვევა შეიძლება უკვე ფატალურად დასრულდეს, – ამბობს ალასანია.

მისი თქმით, თუ სააკაშვილი მოკვდება, ყველაფერს გააკეთებს იმ ადამიანების დასასჯელად, რომლებმაც მკვლელობაში მიიღეს მონაწილეობა.

– ყველა, ვინც 1 წლისა და 3 თვის განმავლობაში ამ საქმეში ფიგურირებს, სამაგალითოდ დაისჯება, – თქვა ალასანიამ.

„ვივამედმა“ აღიარა, რომ სააკაშვილი მძიმედაა

სააკაშვილს სასამართლო პროცესზე არ გაუშვებენ. „ვივამედის“ ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ პატიმარი პრეზიდენტის მდგომარეობა მძიმეა, ამიტომ ექიმები პალატის დატოვების რეკომენდაციას არ გასცემენ.

გუშინ მიხეილ სააკაშვილთან ექიმების მობილიზაცია გახდა აუცილებელი. პრეზიდენტმა გონება დაკარგა და წაქცევისას თავი დაარტყა.

ერთადერთი, რაც დილით მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა, წერილის დაწერა იყო. პატიმარი პრეზიდენტი იუბილეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ულოცავს. წერილი მისმა ადვოკატმა უშუალოდ გადასცა საპატრიარქოს.

ახლა სააკაშვილის უფლებადამცველები მორიგი პროცესისთვის ემზადებიან. ორშაბათს ექიმების დაკითხვა გაგრძელდება.

ნავა თუ არა საქართველო პანდემიის კიდევ ერთ წრეზე?

წავა თუ არა საქართველო პანდემიის კიდევ ერთ წრეზე? მსოფლიოს 29 ქვეყანაში ომიკრონის ახალი შტამი XBB.1.5 ცირკულირებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, ომიკრონის ეს ქვევარიანტი ამ ეტაპზე ყველაზე მეტად დომინანტია აშშ-ში. ის, სხვა ამ დრომდე აღმოჩენილი შტამებისგან განსხვავებით, ყველაზე სწრაფად ვრცელდება.

საქართველოში ომიკრონის ახალი ქვევარიანტით ინფიცირების შემთხვევა ჯერ დადასტურებული არ არის, მაგრამ, სპეციალისტების თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ XBB.1.5 ჩვენი ქვეყანა გადაურჩება, მით უმეტეს, რომ, ამერიკის გარდა, ახალი შტამი აღმოჩენილია ჩინეთის გარკვეულ ნაწილში, თუმცა ჩინეთი დაინფიცირების შესახებ რეალურ მონაცემებს მალავს.

იაგო ხვიჩია: „შემიწყალე, შე პუტინის მონა“, არაფერში წერია — პუტინის მონა თუ ვარ, როგორ შეგიწყალებ?“

„შემიწყალე, შე პუტინის მონა“ არაფერში წერია. პუტინის მონა თუ ვარ, როგორ შეგიწყალებ?! – ასე ეხმიანება „გირჩის“ დეპუტატი იაგო ხვიჩია მოწოდებებს პრეზიდენტის მიმართ, რომ მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს.

ხვიჩია გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მოწოდებას ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ თავად შეეძლო თავის დროზე ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, თუ მას ეს სურდა.

– ქვეყანაში 10 წელია გაჩაღებულია ქოცნაცური ბრძოლა და ამ ბრძოლის ფარგლებში ერთმა მხარემ მეორე დაატყვევა, უზის ციხეში და დანებებას ან დამარცხების აღიარებას ითხოვს. ომს არ ვამთავრებთ და იმას, ვინც უნდა გამოუშვას, ვეძახით პუტინის მონას და ა.შ. „შემიწყალე, შე პუტინის მონა“, ეს არაფერში წერია, რადგან, პუტინის მონა თუ ვარ, როგორ შეგიწყალებ? – განაცხადა ხვიჩიამ.

ხვიჩია ასევე გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის შესახებ ამერიკელი დიპლომატის მაიკლ მაკფოლის სტატიას, სადაც მაკფოლი აღნიშნავს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა, ევროპის სხვა დემოკრატიულ ლიდერებთან მჭიდრო კოორდინაციით, საქართველოს ხელისუფლებას სასწრაფოდ უნდა მიმართოს სააკაშვილის გადარჩენის მიზნით.

– თუ სააკაშვილს აქვს იმის რესურსი, რომ ჯო ბაიდენმა დაურეკოს საქართველოს ნებისმიერ ვინმეს, ჩემი აზრით, ბოროტმოქმედება იქნება, ეს გააკეთებინო იმისთვის, რომ ციხიდან გამოგიშვან. ამხელა რესურსი თუ გაქვს, სხვა რამე უნდა სთხოვო ჯო ბაიდენს. თუ ამას გააკეთებ, ხალხი თვითონ გამოგიშვებს ციხიდან. მე ამას გავაკეთებდი, პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, – განაცხადა ხვიჩიამ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალებში რყევები წყალს ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს“

მურმან დუმბაძე: „28 იანვარს ჩატარდება არჩევნები და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება“



ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ნაციონალური მოძრობის ორ სხვადასხვა ლოკაციაზე გამართულ აქციას თქვენ როგორ აფასებთ? შეიძლება, ეს იყო წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი?

– მე ვარ ნაციონალური მოძრაობის გულშემატკივარი. რა თქმა უნდა, მინდა, რომ პარტია ერთიანი და ძლიერი იყოს, თუმცა, ძალიან დიდ დემოკრატიებშიც, იქ არსებულ პარტიებშიც, არის ხოლმე ძალიან მძაფრი კონკურენცია, მაგრამ არჩევნების შემდეგ ყველაფერი ლაგდება.

რასაკვირველია, ჩანს, რომ პარტიაში წინასაარჩევნო გარემოა. საპროტესტო აქციის ცალ-ცალკე ლოკაციაც ამის ნიშანი უნდა იყოს. მე ერთიანობა და საერთო ძალებით გამოსვლა მერჩივნა, მაგრამ გადაწყვეტილება მათია.

იმედი მაქვს, 28 იანვარს ჩატარდება არჩევნები და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, რადგან საუბარია ყველაზე დიდ, ძლიერ ოპოზიციურ პარტიაზე. ამ პარტიაში რყევები არაფერს კარგს არ მოუტანს ქვეყანას. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს თითოეული მხარის მიერ. 28 იანვარს უნდა ჩატარდეს სამართლიანი, დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნები და დამარცხებულმა გამარჯვებულს უნდა მიულოცოს. ამით უნდა დასრულდეს კონკურენცია და უნდა გაგრძელდეს ქვეყანაზე ზრუნვა. თუ ამას მოჰყვა პარტიის ფრაგმენტაცია, წაგებულის მხრიდან პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება, ეს ძალიან ცუდი იქნება ბევრი მიმართულებით. ეს უკვე ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. ამიტომ ვამბობ, რომ დიდი გამჭრიახობა და წინდახედულობა მართებს თითოეულ მათგანს.

– როგორია თქვენი მოლოდინი, როგორ შეიძლება, ხმები გადანაწილდეს?

– ვერ გეტყვით. არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, ძალიან მძფრი კონკურენციაც კი არ მიკვირს, რადგან ამერიკაშიც ასეა. მერწმუნეთ, ბევრად უფრო დემოკრატიულ და კონკურენციაში გამოზრდილ პარტიებშიც ხდება ასეთი რამ.

– თუმცა იქ წაგებული არასდროს ტოვებს პარტიას და ახალს არ ქმნის.

– დიახ, სწორედ ეს ვიგულისხმე, როდესაც ვთქვი, თუ დამარცხებული გამარჯვებულს ხელს არ ჩამოართმევს და გაბრაზებული წავა, ეს ივანიშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს.

– როგორ ფიქრობთ, 2023 წელს რა ხელშესახები შედეგი შეიძლება ჰქონდეს ოპოზიციურ ფლანგს? შეიძლება ეს იყოს დიდი ერთობა ან საარჩევნო კოდექსის ცვლილება და ა.შ.?

– მე აქცენტს უფრო საერთაშორისო კუთხით გავაკეთებდი. 2023 წელს ომი უნდა დასრულდეს და ამ ომში გამარჯვება უკრაინამ უნდა მოიპოვოს. დარწმუნებული ვარ, ეს ომი ყველა შემთხვევაში უკრაინის გამარჯვებით დასრულდება, მაგრამ მთავარია – რაც შეიძლება ნაკლები ადამიანური დანაკარგებით.

როგორც არასდროს, ისე დღეს მსოფლიო ერთიანია რუსეთის წინააღმდეგ. მთელი დასავლეთი, ევროპა, ამერიკა აცნობიერებენ, რომ მხოლოდ უკრაინა არ არის პუტინის სამიზნე, რომ მსოფლიო წესრიგის მორღვევა განუზრახავს პუტინს.

უკრაინის გამარჯვების შემდეგ, რა თქმა უნდა, მსოფლიო წესრიგი შეიცვლება. ამ გამარჯვებაში ქართველ ხალხს თავისი წვლილი ექნება შეტანილი, განსხვავებით მისი ხელისუფლებისგან, რომელმაც 24 თებერვალს არასწორი არჩევანი გააკეთა. 37 ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე. ქართველი ბიჭები იბრძოდნენ, ცხადია, უკრაინაში, მაგრამ ისინი იბრძოდნენ და იბრძვიან საქართველოს თავისუფალი მომავლისთვის, დეოკუპირებული საქართველოსთვის. უკრაინის გამარჯვებასა და მსოფლიოს ახალი წესრიგის შექმნაში ქართველ ხალხს თავისი წვლილი ექნება შეტანილი, განსხვავებით ჩვენი ხელისუფლებისგან.

ამ გამარჯვების შემდეგ ერთპარტიული, ავტოკრატიული რეჟიმები წარსულს ჩაბარდება. საქართველოში ვეღარ იქნება ერთპარტიული „ოცნების“ მმართველობა. ამას, ცხადია, მზად უნდა შევხვდეთ.

– რას გულისხმობთ?

– საქართველო იმსახურებს ევროკავშირის ოჯახის წევრობას და, რაც მთავარია, საქართველო უნდა გახდეს ნატოს უსაფრთხოების ალიანსის სრულუფლებიანი წევრი. ამ იდეის მიღწევასა და ამ სამუშაოების შესრულებაში ქართველ ხალხს „ქართული ოცნება“ ვერ გამოადგება. ეს ახალმა ძალამ და ახალმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს. 2023 წელი იქნება მსოფლიოში დიდი პოლიტიკური ცვლილებების წელი და ეს ცვლილებები საქართველოს საშინაო პოლიტიკასაც უნდა შეეხოს.

„კონსტრუქციული ოპოზიცია თუ გამოჩნდება, „ოცნება“ ყველას ნაცმოძრაობის იარლიყს აწებებს“

გიორგი გაჩეჩილაძე: „დასავლეთიდან რეალურად გეუბნებიან, მაიმუნობას მორჩით, ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხში ნუ შეგყავთო. პოლიტიკურ ჩიხს შემდეგ ათასი უბედურება მოჰყვება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების უმრავლესობა გარეული იყო დანაშაულებში, რის გამოც ზოგმა მოიხადა სასჯელი, ზოგი ახლა იხდის და ზოგიც შეიძლება მომავალში გახდეს განსასჯელი. რაზე მეტყველებს ის, რომ ვაკეში, ერთ-ერთ აფთიაქში მყოფ მერაბიშვილს, სავარაუდოდ, სცემეს თუ პანღური ამოარტყეს, რაზეც შს სამინისტრომ გამოძიება დაიწყო? ის, ვინც მერაბიშვილს ეჩხუბა, „უცნობის“ სიძეაო.

– მთელი პრობლემა ისაა, რომ 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტერორისტული, მწამებელი ძალა ხელისუფლებიდან გავუშვით. ისეთი პოლიტიკური პარტია, როგორიც ნაცმოძრაობაა, საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია.

საქართველოს კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, რომელიც კრძალავს ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნას ან ფუნქციონირებას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას, სახელმწიფოს, მის ლეგიტიმაციას. ამაზე კონსტიტუციური ჩანაწერი არსებობს.

ვინმეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი რომ შეეტანა, ის აუცილებლად დაკმაყოფილდებოდა. ჩვენი კანონმდებლობა, ჩვენი პარტიების შესახებ კანონი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ შესაძლებლობას იძლევა – პარტია უნდა გაუქმდეს ან პარტიამ თვითონ უნდა გააუქმოს პარტია, ან საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის საფუძველზე გააუქმოს.

250-ზე მეტი პოლიტიკური ორგანიზაციაა რეგისტრირებული. აქედან 10-12 პარტია ფუნქციონირებს. ამით მოხერხდებოდა ის, რომ საბიუჯეტო დაფინანსების წყაროები, რომლებიც პარლამენტიდან აქვთ (მილიონებზეა საუბარი) და სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებენ, პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს არა რომელიმე პარტიის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ებრძვიან შიგნიდანაც და გარედანაც,

ამისთვის იყენებენ საბიუჯეტო დაფინანსებასაც და შავ ხვრელებსაც, საიდანაც ფული პოლიტიკურ ორგანიზაციაში მიემართება. სამწუხაროდ, ამას არავინ იკვლევს.

– პარტიის აკრძალვას პარლამენტის დადგენილება არ სჭირდება სისტემური დანაშაულების გამო?

– მგონი, 2014 წელს მივიღეთ შეფასების ამგვარი დადგენილება, მაგრამ მას გაგრძელება არ მოჰყოლია.

– რატომ?

– ბუნებრივია, ეს იყო „ქართული ოცნების“ არჩევანი. იფიქრეს, რომ ამ სიტუაციაში კომფორტულად იქნებოდნენ, თუ მთავარი ოპოზიციური ძალა ნაცმოძრაობა იქნებოდა.

– რომელსაც დანაშაულებს გაუხსენებდნენ?

– დიახ. ასე იოლია, ოპოზიციურ ფლანგზე განსაზღვრო, თუ ვინმე ხმას ამოიღებს, ოპოზიციაში წავა, მასზე იტყვი, რომ ნაცმოძრაობასთანაა. შეარქმევ სისხლიანს, პირსისხლიანს, როგორც ბანერებზე ნაცმოძრაობაა გამოჭიმული. იტყვი, აი, ეს არის ჩვენი ოპოზიცია. ამდენად, კომფორტული სიტუაცია შეიქმნა.

ასეთ პირობებში სახელმწიფო კრიზისში შედის, იმიტომ, რომ მესამე ძალა არ წარმოიშობა. მესამე ძალას ჩამოყალიბება ძალიან უჭირს. კონსტრუქციულ ოპოზიციაზე ვლაპარაკობ. ვინც კი გამოჩნდება, ყველას ნაცმოძრაობის იარლიყს აწებებენ.

იმიტომ არის, რომ დასავლელი პარტნიორები (ევროკავშირი, ამერიკა), რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს გადარჩენისთვის ზრუნავენ, თავიანთ მოთხოვნებში (ევროკავშირის 12 რეკომენდაციაშიც კი) პირველ ნომრად დეპოლარიზაციას წერენ. გგონიათ, დასავლეთში პოლიტიკური ძალები პოლარიზებული არ არიან?

– სხვაგვარად როგორ იქნება. აგერ ამერიკის სენატის სპიკერი ვერ აირჩიეს, იმდენად პოლარიზებულები არიან.

– კი, მაგრამ საქართველოს პირობებში პოლარიზაცია სახელმწიფო სისტემას კლავს, რადგან ნორმალური პოლიტიკური სპექტრის განვითარების საშუალებას არ იძლევა. დასავლეთში, იქ, სადაც პოლარიზაცია არსებობს, ერთმანეთს დამნაშავე პოლიტიკური ძალები კი არ ებრძვიან, ჩვეულებრივი პოლიტიკური პარტიები არიან და ხან ერთი გაიმარჯვებს, ხან – მეორე.

ახლა საუბარია იმაზე, რომ სისტემა შეიცვალოს და მრავალპარტიულობა დაფუძნდეს, იმავე აშშ-ში. თუ ასეთი რამ მოხდა, არის შანსი, რომ მწვანეთა პარტია და კიდევ ერთი პარტია დაემატოს.

– მაშინ კოლექტიური დასავლეთი საქართველოში პოლიტიკური სუბიექტების, ხელისუფლების დამნაშავე ძალასთან თანამშრომლობას რატომ მოითხოვს?

– თანამშრომლობას არ მოითხოვენ.

– კი, თანამშრომლობას მოითხოვენ. ერთმანეთთან თანამშრომლობით ევროკავშირის რეკომენდაციები უნდა შეასრულონო. აბა, ამას რა ჰქვია?

– იმიტომ, რომ სხვა შანსი აღარ არის. ეს არის ის ჩიხი, რომელშიც ხელოვნურად შექმნილი სისტემა შევიდა. ისინი უარესს და ნაკლებად უარესს შორის მოქმედებენ, ამბობენ, რომ მთლად ერთპარტიული სისტემის (საბოლოო ტიპის რეჟიმის) ჩამოყალიბებას ურჩევნიათ, ვიღაც მაინც არსებობდეს.

ამიტომ აქ უარესსა და უფრო უარესს შორის არის არჩევანი. რეალურად, გეუბნებიან, მაიმუნობას მორჩით, ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხში ნუ შეგყავთო. პოლიტიკურ ჩიხს შემდეგ ათასი უბედურება მოჰყვება. „ქართული ოცნება“ არ აკეთებს.

ამის ინდიკატორი იყო ერთი კვირის წინ ტელეკომპანია „იმედის“ გამოქვეყნებული რეიტინგები, სადაც „ოცნებას“ 55% ჰქონდა, ხოლო მეორე ადგილზე 25%-ით ნაცმოძრაობა დასვა. დანარჩენზე ასეთი ფრაზა თქვა: „დანარჩენ პარტიებს პულსი არ ესინჯებათ“. ამ დროს 1-2 თვის წინ ამერიკული ორგანიზაციის რეიტინგებში (ენდიაის თუ აირაის) ნაცმოძრაობას 7% ჰქონდა, ანუ „ოცნება“ კურსს არ ცვლის, იმავე სისტემით უნდა, 2024 წლამდე მივიდეს.

– მერაბიშვილთან დაკავშირებულ ინციდენტს მინდა დავუბრუნდე. თქვეს, რომ ინციდენტის დროს მერაბიშვილს ხმა არ ამოუღია, გაიქცა. ეს რაზე მეტყველებს? თვითონ მერაბიშვილი, რაც ციხიდან გამოვიდა, იშვიათად ჩნდება, თუმცა ნაცმოძრაობაში დაგეგმილ შიდა არჩევნებთან დაკავშირებით მის სახელს ხშირად ახსენებენ.

– ამ პარტიას საზოგადოებაში არავითარი რეიტინგი არა აქვს. პანღურებს რომ იღებენ, ქუჩაში რომ ვერ გამოდიან და ქუჩაში სიარული უჭირთ, რადგან მათი ნახვა ხალხის გაღიზიანებას იწვევს, ეს იმის ინდიკატორია, რომ კვლევები, რომლებიც ქვეყნდება, სინამდვილეს არ შეესაბამება.

როგორ შეიძლება, საზოგადოებაში რაღაც ნაწილი მაინც არსებობდეს ნაცმოძრაობის მხარდამჭერი, თუ პირადად არ არიან ნაცმოძრაობის ყოფილ ლიდერებთან დაკავშირებული, რომლებმაც ქვეყანა უბედურებაში შეიყვანეს და ტერიტორიები ჩააბარეს.

– როგორც ჩანს, „ოცნებას“ ეშინოდა, დამნაშავეებისთვის ქონების ჩამორთმევით სახელმწიფო რეკეტიორი არ გამოსულიყო და ნაცმოძრაობის ბობოლა წარმომადგენლებს შერჩათ ხალხისთვის უკანონოდ წართმეული თუ კორუფციით დაგროვილი ქონება.

– ასეა. ნორმალურ პოლიტიკურ სპექტრს არანაირი დაფინანსება არა აქვს. არც სხვა გზით უშოვია ფული, ათეული წლების განმავლობაში პატიოსნად მუშაობდა. ვინც დანაშაული ჩაიდინა და სახელმწიფოს უზარმაზარი პრობლემები შეუქმნა: შანსები დაუკარგა, ენერგეტიკული ობიექტები მტერს გადასცა, საგარეო ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობას ახლაც აგრძელებს.

– ამბობთ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობას ახლაც აგრძელებსო. რას გულისხმობთ?

– საერთაშორისო დონეზე ქვეყნის დისკრედიტაციას ეწევა, რომ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღოს.

უკრაინა რაკეტებს გამოუშვებს?

უკრაინელი ექსპერტი: „მობილიზაციის მეორე ეტაპზე რუსეთში გასაწვევებს ქუჩებში დაიჭერენ“

მარიამ მჭედლიშვილი

სასტიკი ომი უკრაინაში ზამთრის მკაცრ პირობებშიც გრძელდება. საქართველოს საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა მოელის უკრაინის გამარჯვებას რუსეთის წინააღმდეგ. რა არის მოსალოდნელი ფრონტზე? რატომ ვერ ფხიზლდება აგრესორი რუსეთის საზოგადოება? რა ტაქტიკა აქვს არჩეული აშშ-ს რუსეთის მიმართ? — ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას მოსაზრებები გააცნო უკრაინელმა სამხედრო ექსპერტმა ოლეგ უდანოვმა.

— საახალწლოდ უკრაინელებში ყველაზე პოპულარული სურვილი იყო უკრაინის ომში გამარჯვება. თქვენი შეფასებით, შეიძლება თუ არა მისი რეალიზება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში?

— არა. წლის პირველ ნახევარში ეს ნაკლებად შესაძლებელია. როგორც ჩანს, აშშ აჭიანურებს უკრაინაში შეიარაღების მოწოდებას და აძლევს პუტინს ჯარების შეკრების საშუალებას. წლის პირველ ნახევარში იქნება ბრძოლა რუსეთის ფედერაციის დაჯგუფებასთან, რომელიც ყალიბდება.

— რატომ აირჩია აშშ-მ რუსეთის მიზანმიმართული დასუსტებისა და არა მისი არმიის სწრაფი განადგურების ტაქტიკა?

— ამას დავარქმევდი რუსეთის ყველა სამხედრო შესაძლებლობის გამოწურვის ტაქტიკას. როგორც ზღაპარშია, პუტინი უნდა დარჩეს გატეხილი ვარცლის წინაშე. როცა მას არ ექნება მორიგი ჯარის გამოყვანის, ანუ თავისი პოლიტიკის ომის ინსტრუმენტებით გატარების შესაძლებლობა, მაშინ ის იძულებული გახდება, ან უკან დაიხიოს, ან მას ჩამოაგდებს ელიტა, ვინაიდან არ ექნება სიტუაციის მართვისა და გაკონტროლების უნარი.

— იმასაც ვხედავთ, რომ რუსეთი აწესრიგებს შეიარაღების საკუთარ წარმოებას. მას აქვს უზარმაზარი ადამიანური პოტენციალი. თუ ამ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, ომი შეიძლება მრავალი წელი გაგრძელდეს?

— არა, რატომ? სამრეწველო პოტენციალის სამხედრო ლიანდაგზე გადმოყვანით ვერ დაკმაყოფილდა ფრონტის მოთხოვნები. საშუალებების დეფიციტი (მათ შორის, ფინანსურის, რაც აუცილებელია იარაღის წარმოებისთვის) დღითი დღე გაიზრდება.

მათ (რუსებს) შეუძლიათ ასეულების ჩამოყალიბება, თუმცა, მგონია, რომ მობილიზაციის მეორე ტალღას რუსეთის ფედერაცია ჩაატარებს დაჭერის გზით. ადამიანებს სამხედრო კომისარიატებში მოსაწვევებით აღარ გამოიძახებენ. მოსაწვევის ჩაბარება და სამხედრო კომისარიატებში მიყვანა იძულებითი გახდება.

— დღეისათვის რუსეთის არმიის დანაკარგმა უკრაინაში 107 ათასს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, არანაირად არ იგრძნობა, რომ რუსეთში ღვივდება საპროტესტო განწყობები. ეს რა პარადოქსია?

— პროტესტები არ იქნება მანამდე, სანამ რუსეთის საზოგადოება არ მიხვდება, რომ ადამიანებს სასაკლაოზე ერეკებიან. ამისათვის აუცილებელია დრო. ამჟამად რუსეთის ხელმძღვანელობა საგულდაგულოდ მალავს დანაკარგს. ისინი არ იჯერებენ ჩვენს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დანაკარგი 100 ათასზე მეტია. როცა საზოგადოება ამას დაიჯერებს, როცა დაინახავს, რომ თითოეული ადამიანის გარემოცვაში ომისაგან ერთი, ორი ან სამი დაზარალებულია, აი, მაშინ დადგება ამ ომის საფასურის საკითხი.

დღეს პუტინი ახდენს ერის გაერთიანების, კონსოლიდაციის თემის ექსპლუატირებას, ავრცელებს ნარატივს, რომ რუსეთი საკუთარი თავისთვის იბრძვის. პუტინს მოჰყავს პირდაპირი პარალელი: თითქოს, თუ არ იბრძოლებენ, არ იქნება რუსეთი, მოვლენ ამერიკელები და ყველაფერს წაართმევენ — წაიღებენ მათ ქუჩის (ეზოს) ტუალეტებს, ცხოვრების დონეს, პენსიას, ასევე გაზსა და ნავთობს, რომლებთანაც მოსახლეობას ძალიან შორეული კავშირი აქვს.

— ამგვარად, თქვენ მიერ ჩამოთვლილ „ფასეულობებს“ ადამიანური სიცოცხლის ღირებულებაზე მაღლა აყენებენ?

„რუსეთში გამოკითხული მოსახლეობის ის 70%, რომელიც ომის მომხრეა, აცხადებს, რომ უკრაინა უნდა დაისაჯოს“

— დიახ. ისინი ასევე იყენებენ მეორე მსოფლიო ომის ნიმუშის პროპაგანდას. როგორია მისი პრინციპი? — „პაპები იბრძოდნენ და ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ“.

როგორც პატრიარქმა კირილმა აღნიშნა, არყის სმას, გირჩევნიათ, მეფისა და მამულისთვის დაიხოცოთო.

ესე იგი მიმდინარეობს მოსახლეობის კაპიტალური დამუშავება ყველა (სულიერი, იდეოლოგიური) მხრიდან. 20 წლის განმავლობაში პუტინმა მკაფიოდ ჩამოუყალიბა მოსახლეობას ნატოს მხრიდან საფრთხის გრძნობა და დაარწმუნა რუსები იმაში, ვითომ უკრაინა ოკუპირებულია ნატოს მიერ, ვითომ უკრაინელებს ტვინები გამოურეცხეს და ისინი „გასათავისუფლებლები“ და „განსაკურნები“ არიან.

რუსეთში გამოკითხული მოსახლეობის ის 70%, რომელიც ომის მომხრეა, აცხადებს, რომ უკრაინა უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ ჩვენ მათთან არ ვართ.

— იმასაც ამბობთ, რომ მობილიზაცია რუსეთში ისეთი ვეღარ იქნება, როგორიც დასაწყისში იყო.

— დიახ. ომის მსურველი პუბლიკა მილიტარისტული თრობით უკვე იბრძვის. შემდგომში შეკრებენ იმათ, ვინც მზადაა საბრძოლველად, მაგრამ — მხოლოდ საკუთარ დივანზე ტელევიზორის ყურებისას.

— რუსეთის ტერიტორიაზე გახშირდა აფეთქებები სამხედრო ობიექტებზე, ბაზებზე, აეროდრომებზე. ამის გამო რუსი პროპაგანდისტები ისტერიკაში არიან. უკრაინას მტრის ზურგში მოქმედება მარტო ამგვარად შეუძლია თუ გაგვიჩნდება სხვა საშუალებები, რათა მივაყენოთ დარტყმები სამხედრო სამიზნეებსა და გადაწყვეტილებების მიღების ცენტრებს რუსეთში?

— ვფიქრობ, რომ ჩვენ გაგვიჩნდება სხვა საშუალებები. აშშ არ ჩქარობს, მოგვაწოდოს ამისათვის აუცილებელი დახმარება. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობების ჩვენი ფანჯარა და ამის იმედი მაქვს. იმედს ვამყარებ ჩვენს უპილოტო თვითმფრინავებზე და, შესაძლოა, ჩვენს რაკეტებზეც, რომლებიც გაჩნდება, თუ მოვაგვარებთ მათ წარმოებას უსაფრთხო მოედნებზე, შეიძლება, უკრაინის ფარგლებს გარეთაც.

ეკა ხერხეულიძე: „მიხეილ სააკაშვილმა გონება დაკარგა“

— ჩემ შესვლამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე მიხეილ სააკაშვილს გონების დაკარგვა ჰქონდა. მძიმე ვითარებაა მისი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, — ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა ეკა ხერხეულიძემ კლინიკა „ვივამედში“ გუშინ მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ყოფილ პრეზიდენტს ჩაუტარდება დიაგნოსტიკური გამოკვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა გონების დაკარგვა.

— გონების დაკარგვა არის ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი, რომელიც კიდევ ერთხელ სიგნალი უნდა აღმოჩნდეს ყველასთვის, რომ ამ ადამიანს დიდი დრო არ აქვს დარჩენილი, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ მისი ჯანმრთელობის ობიექტურ მდგომარეობას, — აღნიშნა ხერხეულიძემ.

ამასთან, ის გამოეხმაურა ამერიკელი დიპლომატის მაიკლ მაკფოლის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ „სააკაშვილის ციხეში სიკვდილი პუტინის გამარჯვება და ქართული დემოკრატიისთვის დიდი დარტყმა იქნება“. როგორც ხერხეულიძემ განაცხადა, მაკფოლი არის აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის უშუალო წარმომადგენელი რუსეთთან დაკავშირებულ სანქციებთან მიმართებით.

— არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები როგორ შეაფასებენ ამას. საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მაკფოლი გახლავთ ბაიდენის ადმინისტრაციის უშუალო წარმომადგენელი რუსეთთან დაკავშირებულ სანქციებთან მიმართებით. მისი განცხადება ხაზგასმით ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ჩვენი ქვეყნის მტრებს ეგონათ, რომ დემოკრატიული სამყარო მიატოვებდა მიხეილ სააკაშვილს და ისინი უნდა გავაწბილოთ. ისინი, ალბათ, მომსწრე იყვნენ გუშინ მსოფლიოს გარშემო ჩატარებული აქციის — ასევე, ნახეს დღევანდელი გამოხმაურება „ვაშინგტონ პოსტში“ მაკფოლის განცხადებასთან დაკავშირებით. ეს იქნება უწყვეტი რეაგირება დემოკრატიული მსოფლიოს ნაწილისგან. ეს მოლოდინი ჩვენი ქვეყნის ყველა კეთილმოსურნეს უნდა ჰქონდეს, — განაცხადა ეკა ხერხეულიძემ.

ამასთან, ხერხეულიძემ აღნიშნა, რომ პატრიარქმა მიხეილ სააკაშვილს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მას შობა-ახალ წელს ულოცავს. მისივე თქმით, ამის საპასუხო წერილი მიხეილ სააკაშვილმა თავის უფლებადამცველ შალვა ხაჭაპურიძეს გაატანა საპატრიარქოში.

მეუფე მიქაელი: „იტყვი კის და ვაი-ვუი ატყდება, იტყვი არას და ვაი-ვუი ატყდება. ღმერთისთვის მაქვს მინდობილი“

„იტყვი კის და ვაი-ვუი ატყდება, იტყვი არას და ვაი-ვუი ატყდება. ღმერთისთვის მაქვს მინდობილი“, — ასე უპასუხა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მიქაელმა „მთავარ არხს“ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე — უნდა შეინყალოს თუ არა ის პრეზიდენტმა, უნდა გადაიყვანონ თუ არა ის სამკურნალოდ საზღვარგარეთ და როგორია საპატრიარქოს პოზიცია მესამე პრეზიდენტის მდგომარეობაზე.

მისივე თქმით, სააკაშვილს ისე დაუდგება გვერდით, როგორც ამას საპატრიარქო დაავალებს.

— მისწერონ საპატრიარქოს, რაც იქნება, როგორც იქნება და, რასაც დაგვავალებენ ჩვენ, რასაკვირველია, გვერდში დავუდგებით ნებისმიერ სიტუაციაში. იტყვი კის და ვაი-ვუი ატყდება, იტყვი არას და ვაი-ვუი ატყდება. ხომ გესმით, ღმერთზე მაქვს მინდობილი, რა...

ზოგი ამბობს, ძალიან მძიმედ არისო, შეიძლება გარდაიცვალოსო, ზოგი ამბობს, არ არის მძიმე მდგომარეობაო და როგორ გავაკეთო ახლა მე. მე რა უნდა ვთქვა, წარმოდგენა არ მაქვს, რა იქნება, როგორ იქნება, გამოჩნდება ყველაფერი, — ამბობს მეუფე.

ირაკლი ზარქუა: „ნაციმოძრაობის“ წევრების განცხადებები უნდა მოისმინოთ, როგორც „შაბათის შოუ“, გასართობი“

— უნდა უყუროთ, როგორ აგინებენ ნაციმოძრაობის წევრები ერთმანეთს. საღამოს უნდა ჩართოთ ტელევიზორი და მოისმინოთ მათი განცხადებები, როგორც „შაბათის შოუ“, გასართობი. ვაშაძეს რაც შეეხება, 4 კაცი ჰყავდა პარტიაში და ორი შემორჩა. „ტროიკის“ მიერ მოწყობილი რევოლუცია არ გაიშვას, — ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა.

ზარქუა თბილისში ნაციონალური მოძრაობის მიერ რამდენიმე ლოკაციაზე ჩატარებულ აქციას გამოეხმაურა და მათ ქმედებებს სამარცხვინო უწოდა. მანვე შეაფასა „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ სერგო ჩიხლაძის განცხადება, რომ 2023 წელს ოპოზიციას ერთიანი სამოქმედო გეგმა უნდა ჰქონდეს, რომლის მიზანი „ხელისუფლებიდან „რუსული ოცნების“ ჩამოშორება იქნება“ და აღნიშნა, რომ დაანონსებული ცხელი შემოდგომა არ უნახავთ.

— გუშინ ნაცებმა თავიანთი ასკაციანი „ლაშქარი“ რამდენიმე ფრონტად დაყვეს და ვნახეთ სამარცხვინო ქმედებები, ერთმანეთს მოღალატეები ეძახეს, მარაზმი ხდებოდა გუშინ, მეტი არაფერი. ეს აჩვენებს, რომ იმათ ის პატიმარიც (მიხეილ სააკაშვილი) არ აინტერესებთ. ეს არის ბრძოლა სკამისთვის ნაციონალურ მოძრაობაში, რომ შემდეგ კეზერაშვილის ფულები გაინაწილონ, ვინც ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს. უბრალოდ, უნდა ვუყუროთ, როგორ დასდევენ ერთმანეთს, როგორ აგინებენ, საღამოს, უბრალოდ, უნდა ჩართო, როგორც „შაბათის შოუ“, გასართობი და უყურო, მოისმინო, ერთის, მეორის, მესამის, მერე ისევ პირველის განცხადებები — აგონიაში არიან. ყოველთვის ასეთი პარტია იყო, ვიწროპარტიულ ინტერესებზე ფიქრობდნენ. ახლა ვინც აღზარდეს, ვინც გამოიჩეკნენ, სამი თუ ოთხი, რომ ჰკითხო, ყველა ლიდერია, მაგრამ, გამოკვეთილი ვინც არის, იბრძვის კეზერაშვილის ფულისა და გავლენებისთვის პარტიაში.

ნაციონალურ მოძრაობას არაფერი გამოუვიდა და ვაშაძე, რომელსაც 3 თუ 4 ადამიანი ჰყავდა პარტიაში და ბოლოს ორი შემორჩა... ამ კაცის ჩატარებული აქციების არ მჯერა. ვისაც სჯერა, გაჰყვეს. რა ვაშაძე, რა აქციები, რა ცხელი ზამთარი თუ შემოდგომა, კარგი რა! ერთი ხელმოცარულია, რომელიც ვიღაცისგან დაფინანსებას იღებს, კარგად ვიცით, ვისგანაც და ცდილობს, ეს დაფინანსება გაამართლოს, ვითომ რაღაცას ცდილობს. ის გიჟი „ჯაფარა“ რომ დარბოდა ვითომ გასულ წელს, აზომვებს რომ აკეთებდა ვითომ აქ, რაღაც მარაზმი, მეორე რუსეთიდან ფინანსდება, ქალბატონი ხოშტარია და მერე თქვა, მე არა, მამაჩემიო და ამ „ტროიკის“ მიერ მოწყობილი რევოლუცია არ გაიშვას, რა. შეიკრიბება ისევ 15-20 კაცი, როგორც დარბოდნენ, მოატყუებენ ერთმანეთს, მერე ისევ დაიშლებიან, მერე ისევ შეიკრიბებიან. სად არის ცხელი შემოდგომა, რომ დაგვიანონსეს? ზამთარიც ცხელი უნდა ყოფილიყო. თბილი ამინდი კი გვაქვს, მაგრამ ეს ვაშაძეს არ უკავშირდება. ვურჩევდი, თუ რამე სათქმელი აქვს, გამოიყენოს პარლამენტი და 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას შემოუერთდეს, — განაცხადა ზარქუამ.

კრემლის ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინმა 6-7 იანვარს უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 6-7 იანვარს უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ კრემლის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. პუტინმა თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს დაავალა, 6 იანვრის 12:00 საათიდან 7 იანვრის 24:00 საათამდე უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების მთელ ხაზზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი შემოიღოს.

ცნობისთვის, აქამდე „საშობაო ზავის“ იდეით რუსეთის პატრიარქი კირილი გამოვიდა, რათა „მართლმადიდებელმა ხალხმა შობის წინა დღესა და ქრისტეს შობის დღეს შეძლოს მსახურებაზე დასწრება“.

მურუსიძე: „დარწმუნებული ვარ, სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს“

მოსამართლე მურუსიძე დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების ან გაუქმების საქმეზე სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და უვადო მოსამართლე მესამე პრეზიდენტთან დაკავშირებით არაფერს ამბობს, რადგან, მისი თქმით, საქმეს სასამართლო იხილავს:

– საქმე იხილება სასამართლოში. მე როგორც მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ამ საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, რომ სასამართლო მიიღებს სწორ და კანონიერ გადაწყვეტილებას, – ამბობს მურუსიძე.

ქუთაისში ავტომობილები გატეხეს

ქუთაისში მოქალაქეებს გუშინ დილით მანქანები გაძარცვული დახვდათ. წაღებულია აკუმულატორები, აქსესუარები, ჩამსხვრეულია შუშები.

ორი დაზარალებული პოლიციაში გამოკითხვაზეა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ გახშირდა არა მარტო მანქანების, არამედ მაღაზიებისა და კაფე-ბარების გაძარცვის შემთხვევებიც.

ესპანეთში ქურდობის ბრალდებით ქართველები დააკავეს

ესპანეთის პოლიციამ კატალიზატორების ქურდობის ბრალდებით საქართველოს სამი მოქალაქე დააკავა. დაკავებულებიდან ორი მამაკაცი და ერთი ქალია.

დაკავებულ ორ მამაკაცს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ამავე ჯგუფის წევრი ქალი კი გირაოთი გაათავისუფლეს.

ესპანეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების საქმის განხილვას სასამართლო სავარაუდოდ მომავალ თვეს დაიწყებს. პოლიციამ მათი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მოპარული კატალიზატორები, ნაღდი ფული და ხელსაწყოები ამოიღო.

რუსთავში ერთმანეთს 5 ავტომობილი დაეჯახა

რუსთავში ერთმანეთს 5 ავტომობილი დაეჯახა.

ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

მეგობრობის გამზირზე ავარიის დროს 2 სამგზავრო მიკროავტობუსი და 3 მსუბუქი ავტომობილი დაზიანდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

გია გაჩეჩილაძის სიძე ადასტურებს, რომ ვანო მერაბიშვილს „ხელით შეეხო“

გია გაჩეჩილაძის (უცნობი) სიძე, გიგიშა შარაშიძე, ადასტურებს, რომ მას და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს შორის დაპირისპირება მოხდა. ჟურნალისტის კითხვაზე, შეეხო თუ არა მერაბიშვილს ხელით, შარაშიძემ დადებითად უპასუხა და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობას არ გაურბის და, თუ საჭირო გახდა, დეტალების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების კითხვებს უპასუხებს.

– დაპირისპირება ჩემსა და ვანო მერაბიშვილს შორის 2 იანვარს ვაკეში, ერთ-ერთ აფთიაქში მოხდა. დაპირისპირებასაც ვერ დავარქმევ, იქიდან გამომდინარე, რომ ვანო მერაბიშვილი პირველივე წამებიდან გაიქცა. იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების დიდი ინტერესია, მე ჩავთვალე თავი ვალდებულად, რომ არ ვიმალები, არც გამოძიებას ვემალები და არც პასუხისმგებლობას გავურბივარ. თუ საჭირო გახდა, დანარჩენზე პასუხს სამართალდამცველ ორგანოებს გავცემ, – განაცხადა გიგიშა შარაშიძემ.

კითხვაზე, თუ რატომ დაიწყო დაპირისპირება, გიგიშა შარაშიძე ასე პასუხობს: „არა მგონია, მაგრამ, თუ ცოტა მაინც, იოტისოდენა ვაჟკაცობა შერჩენია, მან თვითონ თქვას სჯობს“.

ცნობისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

რუსეთში 15 წლის ქართველი ბიჭი გარდაიცვალა

2 იანვარს რუსეთში მცხოვრები 15 წლის ქართველი მოზარდი გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახის ახლობლის ინფორმაციით, ბიჭს არაფერი აწუხებდა და სპორტით იყო დაკავებული.

– გუშინ 15 წლის ქართველი ანგელოზი ბიჭი დაასაფლავეს. უნიჭიერესი, ჯანმრთელი, სპორტსმენი, კარგი აღზრდილი. საღამოს დაიძინა და დილით მკვდარი ნახეს ლოგინში... ინსულტი დადასტურდა, – ამბობს გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი.

ხაშურში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მიწობში, ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, ერთი კი დაშავდა.

„მოზაიკის“ ინფორმაციით, ავტომობილი გზიდან გადავიდა და ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად დაშავებული ხაშურის ერთ-ერთ კლინიკაშია გადაყვანილი.

7-8 იანვარს საქართველოში თოვა, ნისლი, ქარბუქია მოსალოდნელი

7-8 იანვარს საქართველოში ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, ნალექია მოსალოდნელი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მთასა და მაღალ მთაში შესაძლებელია ძლიერი თოვა, ნისლი, ქარბუქი, საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე ხილვადობის გაუარესება.

სააგენტოს ცნობით, ზოგან იქროლებს დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, ზღვაზე კი შესაძლებელია 3-4-ბალიანი შტორმული ღელვა.

პატრიარქი მიხეილ სააკაშვილს – „გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ღვთის შეწევნას თქვენს სულიერ ძალთა განსამტკიცებლად და ჭეშმარიტი, სხვა რეალობის შესაცნობად“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს წერილს უგზავნის.

პატრიარქი მიხეილ სააკაშვილს მისთვის აღსაყდრების დღის მილოცვისთვის მადლობას უხდის, ასევე, ჯანმრთელობასა და მხნეობას უსურვებს.

– ბატონო მიხეილ, გულითად მადლობას გიხდით აღსაყდრების დღის მოლოცვისთვის. მეც გილოცავთ დაბადების დღეს და დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობასა და, პირველ რიგში, ღვთის შეწევნას თქვენს სულიერ ძალთა განსამტკიცებლად და ჭეშმარიტი სხვა რეალობის შესაცნობად, – აღნიშნულია წერილში, რომელსაც სააკაშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ავრცელებს.

გარდაიცვალა ახალგაზრდა დეპუტატი

ახალგაზრდა დეპუტატი, ბოლნისის საკრებულოს წევრი ეკატერინე კობალავა გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ავრცელებს.

– ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ღრმა მწუხარებას გამოხატავს საკრებულოს წევრის, ეკატერინე კობალავას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, – აღნიშნულია სამძიმრის წერილში, რომელსაც ბოლნისის საკრებულო ავრცელებს.

ცნობილი ქართველი რეჟისორი გარდაიცვალა



80 წლის ასაკში გარდაიცვალა მხატვარი, რეჟისორი, სცენარისტი გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი.

ინფორმაციას ოჯახის ახლობლები ადასტურებენ.

გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილმა 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1971 წელს – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 1976 წელს – თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

იყო ტელევიზიის კინორეჟისორი, მუშაობდა დიდი ბრიტანეთის ტელევიზიის მე-4 არხზე.

გადაღებული აქვს ფილმები: „პრემიერა“ (1979), „ექსპერიმენტი“ (1981), „მთვარის გლობუსი“ (1986), „ვეძებთ მარჯორის და ოლივერს“ (1991) და სხვ

2023, 6 იანვარი, №4

აშშ უკრაინისათვის დახმარების გაფართოების საკითხებს განიხილავს



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკრაინულმა არმიამ შეინარჩუნა პოზიციები ბახმუტთან, სოლედართან, ავდეევკასთან, კრემენნოე-სვატოვისთან. უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება. თვით კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ შეფმა პრიგოჟინმაც კი განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ბახმუტის აღება შეუძლებელია.

– უკრაინელებმა მთელი ბახმუტი ციხე-სიმაგრედ გადააქციეს! ასეთ პირობებში ქალაქზე შტურმი მშვიდობიანი მოსახლეობის რიგებში დიდ მსხვერპლს ნიშნავს! ჩვენ ამაზე არ წავალთ! – აცხადებს პრიგოჟინი.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი, მიმოიხილავს რა შექმნილ სიტუაციას, აკეთებს დასკვნას, რომ პრიგოჟინმა ფაქტობრივად აღიარა ბახმუტის აღების შეუძლებლობა. მან თავის გასამართლებელი საინფორმაციო კამპანია დაიწყო. ამავე დროს, ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ პრიგოჟინის სიტყვები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ომი დასასრულს უახლოვდება, პირიქით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რუსები მასირებულ შეტევას ამზადებენ.

ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გარკვეული, თუ რა მიმართულებით დაიწყება შეტევა. რუსი გენერლების ნაწილი ამტკიცებს, რომ შეტევა ბელარუსიდან კიევის მიმართულებით უნდა წარიმართოს. მეორენი თვლიან, რომ მთელი ძალისხმევა მხოლოდ დონბასის ან ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქის დაკავებისაკენ უნდა იყოს მიმართული. შეტევა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: 1) ყირიმიდან უკრაინის სამხრეთით; 2) ფართომასშტაბიანი იერიში დონბასში. შეტევაში მონაწილეობას 300.000 რუსი მობილიზებული მიიღებს.

– სავარაუდოდ, იანვრის შუა რიცხვებისათვის საბოლოოდ გაირკვევა, თუ როდის დაიწყება შეტევა და რა მიმართულებით წარიმართება იგი, – ასეთია აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის დასკვნა.

ამ ფონზე აშშ განიხილავს უკრაინისათვის დახმარების გაფართოების შესაძლებლობას. პრეზიდენტმა ბაიდენმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– უკრაინა ჯარისკაცების დეფიციტს არ განიცდის! უკრაინელებს მეტი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა სჭირდებათ!

აშშ უკრაინისათვის იარაღის ახალი პარტიის მიწოდებას განიხილავს. ამას გარდა, გაიზრდება იმ უკრაინელ ჯარისკაცთა რაოდენობა, რომლებიც გერმანიაში აშშ-ის ბაზაზე მომზადებას გაივლიან.

უკანასკნელი 2-3 დღის განმავლობაში უკრაინის ლიდერი ზელენსკი დაუკავშირდა ბრიტანეთის პრემიერ სუნაკს, აგრეთვე კანადის, ნიდერლანდების, ნორვეგიის პრემიერებს. საუბრის ძირითადი თემა უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაფართოება იყო.

ომი გრძელდება. რუსების რიგებში დანაკარგმა უკვე 109.000-ს მიაღწია. უკრაინა მტრის ახალი შეტევების მოსაგერიებლად ემზადება.

მარინკასთან სიტუაცია უცვლელია

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. ყველაზე სასტიკი ბრძოლები კვლავ დონბასშია. ოკუპანტები ცდილობენ, განახორციელონ შეტევა ბახმუტის, სოლედარის, ავდეევკის მიმართულებით. ოკუპანტები დიდ ზარალს განიცდიან. ამან მათ ბრძოლისუნარიანობაზეც იმოქმედა. შეტევების ინტენსიურობა მკვეთრად დაეცა.

სიტუაცია უცვლელია მარინკასთან. ამაოა რუსების მცდელობა, დაამყარონ კონტროლი ქალაქზე. გაბოროტებულმა ოკუპანტებმა მარინკის დაბომბვა გააძლიერეს.

გრძელდება ბრძოლები კრემენნოე-სვატოვოს მიმართულებით (ლუგანსჩინა). უკრაინული არმია ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს წინ. დაფიქსირდა უკრაინელების წინსვლა ლისიჩანსკის მიმართულებითაც.

საინტერესო ვითარებაა უკრაინის სამხრეთში. უკრაინელმა პატრიოტებმა განახორციელეს დარტყმები სევასტოპოლზე, ჯანკოიზე და ყირიმის სხვა ქალაქებზე. რუსი ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგებია.

სასტიკი ბრძოლებია ხერსონსჩინაზე. უკრაინელებმა კონტროლი დაამყარეს ხერსონსშჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე მდებარე კუნძულზე.

ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქში. მარცხით დასრულდა ოკუპანტების შეტევა პოტიომკინსკოიზე. განხორციელდა დარტყმა ოკუპანტების დისლოკაციის ადგილებზე ტოკმაკსსა და მელიტოპოლში. რუსების რიგებში მსხვერპლი უზარმაზარია. განადგურებულია დიდი ოდენობით სამხედრო ტექნიკა.

პასუხად რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიე დაბომბეს. ოკუპანტები საგანგებოდ უმიზნებდნენ ენერგოობიექტებსა და საცხოვრებელ სახლებს. დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის მოხუცები, ქალები, ბავშვები.

უკრაინის დაზვერვის შეფის საინტერესო პროგნოზი

უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფმა, გენერალმა ბუდანოვმა განაცხადა, რომ 2013 წელი გადამწყვეტი იქნება; რუსეთი მასშტაბურ შეტევას ამზადებს, უკრაინამ ის არა მარტო უნდა მოიგერიოს, არამედ კონტრშეტევაზეც გადავიდეს.

საამისოდ, უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფის აზრით, უნდა განხორციელდეს დარტყმები რუსეთის სიღრმეში, კერძოდ, დაიბომბოს ვორონეჟი, ვოლგოგრადი, როსტოვი და, რა თქმა უნდა, მოსკოვი.

უკრაინის დაზვერვის შეფის პროგნოზით, კონტრშეტევა მარტში დაიწყება, მანამდე კი უკრაინელებს რუსების ფართომასშტაბიანი შეტევის მოგერიება მოუწევთ.

აშშ-ის კონგრესმა სპიკერის არჩევა ვერ შეძლო

აშშ-ის კონგრესმა სპიკერის არჩევა ვერ შეძლო. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება“.

– სპიკერობის ყველაზე რეალური პრეტენდენტი რესპუბლიკელი კევინ მაკარტი იყო, მაგრამ მან აუცილებელი ხმების რაოდენობის შეგროვება ვერ მოახერხა, – იუწყება რადიო „თავისუფლება“.

უკანასკნელად აშშ-ის კონგრესში მსგავსი სიტუაცია ასი წლის წინ დაფიქსირდა.

რუსი ოკუპანტების დანაკარგები უკრაინაში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. შესაბამისად, ოკუპანტების რიგებში დანაკარგებიც გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებულმა დარტყმებმაც. უკრაინელებმა კვლავ დაბომბეს ბელგოროდისა და ბრიანსკის ოლქები. უკრაინული უპილოტო თვითმფრინავები როსტოვის ოლქსაც მისწვდნენ. ოკუპანტების რიგებში მსხვერპლია.

დღეისათვის რუსი ოკუპანტების რიგებში არსებული დანაკარგები შემდეგია:

ტანკები – 3.038;
არტილერია – 2.039;
ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 215;
თვითმფრინავები – 283;
ვერტმფრენები – 270;
უპილოტო თვითმფრინავები – 1.842;
ფრთოსანი რაკეტები – 723;
განადგურებულია 109.000 ოკუპანტი.

რუსლან ხაზბულატოვი გარდაიცვალა



გარდაიცვალა ცნობილი რუსი რეაქციონერი, რუსეთის პარლამენტის ექსსპიკერი რუსლან ხაზბულატოვი. ის 80 წლისა იყო.

ხაზბულატოვს მშობლიურ ჩეჩნეთში, თავის სოფელში დაკრძალავენ.

ხაზბულატოვმა ცხოვრების რთული გზა განვლო. ის იმ ჩეჩნებს განეკუთვნება, რომლებიც თავის დროზე ყაზახეთში გადაასახლეს. ხაზბულატოვი შევიდა ალმა-ატის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ იქ დიდხანს არ უსწავლია და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე გადავიდა.

ხაზბულატოვმა დაიცვა დისერტაცია ეკონომიკაში. წლების განმავლობაში ეწეოდა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ხაზბულატოვი-პოლიტიკოსი ცნობილი გახდა 1990 წელს, როგორც ბორის ელცინის თანამებრძოლი და რუსეთის პარლამენტის სპიკერი. მან წინააღმდეგობა გაუწია ავადსახსენებელ გკჩპ-ს. შემდგომში ხაზბულატოვი აქტიურად შეეწინააღმდეგა გაიდარისა და ჩუბაისის დემოკრატიულ რეფორმებს და ბორის ელცინის წინააღმდეგ შეიარაღებულ პუტჩსაც დაუჭირა მხარი. პუტჩი, როგორც ცნობილია, ჩაახშვეს. ამით ხაზბულატოვ-პოლიტიკოსის კარიერაც დასრულდა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

კალეიდოსკოპი

ცნობილი გახდა, თუ რატომ იჩხუბა პრინცმა ჰარიმ თავის უფროს ძმასთან

სასექსის ჰერცოგმა, პრინცმა ჰარიმ, საკუთარ მემუარებში უფროს ძმასთან, პრინც უილიამთან ჩხუბის თაობაზე ისაუბრა.

წიგნში ის ამტკიცებს, რომ ინციდენტი 2019 წელს ლონდონში მოხდა. კონფლიქტი პრინც ჰარის ამერიკელი მეუღლის მეგან მარკლის გამო წარმოიშვა. ჰარის თქმით, უილიამი მასთან მათ ურთიერთობაში „კატასტროფის“ თაობაზე სასაუბროდ მივიდა და სურდა, ძმას დახმარებოდა, ამ დროს კი დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ მარკლს „რთული“, „უხეში“ და „გამაღიზიანებელი“ უწოდა.

ძმებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება „ფიზიკურ თავდასხმაში“ გადაიზარდა.

– მან საყელოში მტაცა ხელი, ჯაჭვი გამიწყვიტა და იატაკზე დამაგდო, – აცხადებს სასექსის ჰერცოგი.

შედეგად პრინცი ჰარი ძაღლის ჯამზე დაეცა, რომელიც მის ქვეშ გადატყდა.

– გარკვეული დროის განმავლობაში გაოგნებული იატაკზე ვიწექი, შემდეგ ფეხზე წამოვდექი და ვუთხარი, რომ გათრეულიყო, – წერს ბრიტანეთის მონარქის უმცროსი შვილი.

ქალმა ვუდუს რიტუალის დროს თავისი ორი შვილი დახოცა

აშშ-ში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრებ ქალს, რომელმაც თავისი ორი მცირეწლოვანი შვილი ვუდუს რიტუალის შესრულების დროს დახოცა.

ქალაქ პლიმუტის საოლქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ლატაშე სანდერსს, რომელმაც თავისი ორი შვილი 2018 წლის თებერვალში დახოცა. პოლიციამ მაშინ ქალის სახლში ხუთი და რვა წლის ბავშვების ცხედრები აღმოაჩინა. დედამ მათ დანით 50-მდე ჭრილობა მიაყენა.

როგორც გამომძიებლებმა აღნიშნეს, სანდერსმა ბავშვების დახოცვის შემდეგ მათი ცხედრები განბანა და საწოლებში ჩააწვინა. ქალმა ასევე საგულდაგულოდ დაალაგა დანაშაულის ჩადენის ადგილი. პოლიციამ სამზარეულოს ნიჟარაში აღმოაჩინა დანა, რომელიც მკვლელობის იარაღად იქნა მიჩნეული. სანდერსმა დეტექტივებს განუცხადა, რომ ბავშვები რელიგიური რიტუალის შესრულების დროს დახოცა.

ქალს ოთხშაბათს ორი ვადით სამუდამო პატიმრობა და დამატებით კიდევ ცხრა წელი პატიმრობა მიესაჯა მეზობლების დაშინებისთვის.

მამაკაცმა, რომელმაც ბიზნესი დაკარგა, ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა

ინგლისის მერსისაიდის საგრაფოს მკვიდრმა ბიზნესი დაკარგა, შემდეგ კი მოულოდნელად ლატარიაში გაიმარჯვა და საკუთარი ცხოვრება შეცვალა.

ბერნარდი ბიზნესით 50 წლის განმავლობაში იყო დაკავებული, მაგრამ 2022 წლის მაისში შემოსავლის გარეშე დარჩა.

– როდესაც კოვიდ-19-მა დაგვარტყა, იძულებული გავხდით, დავხურულიყავით. მისი განახლება კი აღარ გამოვიდა. ვიბრძოდით, მუშაობას ვაგრძელებდით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დატვირთვა მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა და მას თავი ვეღარ გავართვით. შედეგად ყველაფერი დავკარგე, – განაცხადა ბრიტანელმა.

ამის შემდეგ მან გადაწყვიტა, ბედი ეცადა, კომპანია ომაზეს გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და 10 ფუნტი სტერლინგის ღირებულების ლატარიის ბილეთი შეიძინა. გარკვეული დროის შემდეგ ბერნარდმა შეიტყო, რომ 250 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო და სიღარიბეს თავი დააღწია.

– ამან ყველაფერი შეცვალა, შობის დღესასწაული გადამირჩინა და პენსია დამიბრუნა, – განაცხადა მამაკაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ორი ქართველის ერთნაირი მარცხი

მსოფლიო ჩემპიონატის გამო გამოწვეული პაუზის შემდეგ იტალიური სერია ა განახლდა, ლიგის ორივე ქართველმა ითამაშა და ორივე მათგანი ერთნაირი ანგარიშით დამარცხდა. ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლიმ, რომელსაც სეზონში წაგება არ ჰქონდა, მილანში, „სან სიროზე“ 0:1 ინტერთან წააგო, ხოლო ლუკა ლოჩოშვილის კრემონეზემ შინ იმავე ანგარიშით ტურინის იუვენტუსთან დათმო.

რომაული გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“ ტრადიციულად მატჩის საუკეთესო მოთამაშესა და იმედგაცრუებას ასახელებს. ცხადია, გამოცემამ ინტერისა და ნაპოლის შეხვედრაც შეაფასა.

გაზეთი წერს, რომ 2023 წლის პირველი შეხვედრა ვარსკვლავური შემადგენლობის კვალობაზე ნაპოლისთვის მოსაწყენი გამოვიდა.

გამოცემისთვის მატჩის გმირი ინტერის ბოსნიელი თავდამსხმელი ედინ ჯეკო იყო, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში კონცენტრირებული გახლდათ, მეორე ნახევრის მე-11 წუთზე კი მშვენიერი თავურით გამარჯვების გოლი შეაგდო. ჯეკოს სტუმრების დაცვა მუდმივად დაძაბული ჰყავდა. სერია ა-ს ჩემპიონატში მისი მეშვიდე გოლი ინტერისთვის საჩემპიონო ცეცხლის შემნთები გამოდგა.

რომაული გაზეთი იმედგაცრუებად ვიქტორ ოსიმენსა და ხვიჩა კვარაცხელიას ასახელებს. ის წერს, რომ მათ ნაპერწკალი ჰქონდათ ჩამქრალი.

– სასწაულმოქმედმა წყვილმა ვერ იმუშავა. ნიგერიელმა თავდამსხმელმა საჯარიმოში კარგი მოძრაობით თავი მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის დასაწყისში შეგვახსენა, ქართველი გარემარბი კი ფრთაზე ორიოდე „რეპლიკით“ შემოიფარგლა, – წერს „კორიერე დელო სპორტი“.

კრიტიკული იყო თავად ნაპოლის მწვრთნელი ლუჩანო სპალეტიც:

– ძალიან ცუდად ვმოქმედებდით მოედნის ბოლო სამ მეოთხედში. გვაკლდა ხარისხი, ბურთი ვერ გადაადგილდებოდა სწრაფად და შეტევით ფაზაში მეტოქეს პრობლემებს, ფაქტობრივად, ვერ ვუქმნიდით.

ჩვენ უკეთ შეგვიძლია თამაში, მაგრამ შეცდომებისთვის დავისაჯეთ. ინტერი ფიზიკურად ძლიერი, კარგად ორგანიზებული გუნდია. როცა ასეთი გუნდის წინააღმდეგ ბურთი ნელა მოძრაობს, ბუნებრივია, რომ გიტევს და ბურთს გართმევს. ფაქტია, ინტერი ასეთი თამაშისთვის მზად იყო...

თუმცა, არ უნდა მოხდეს ჩვენი გუნდის დემორალიზება. ინტერთან თამაშით არაფერი შეცვლილა. ჩვენი სათამაშო ფილოსოფიის ერთგული ვრჩებით. უბრალოდ, ზოგიერთი ფეხბურთელი არ იყო ისეთი გენიალური, როგორც მათი სტანდარტი ითხოვს. ამიტომ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ისინი შევცვალეთ...

საერთოდ, ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი გზები შეტევაში მეტი ვარიანტისთვის. ვიწყებთ მზადებას შემდეგი მატჩისთვის და ვეცდებით, რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ ძველ და სწორ გზაზე.

ლოჩოშვილის კრემონეზე კი ისევ მოუგებელია. მასიმილიანო ალვინის შეგირდებმა იუვენტუსთან მატჩში ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ სწორედ ბოლოში დამარცხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კრემონეზეს მრისხანე მეტოქე ჰყავდა, ყრუ დაცვაშიც არ ჩამდგარა, მაგრამ შეხვედრის ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში, პოლონელმა არკადიუშ მილიკმა საჯარიმო დარტყმით გაუტანა და მთელი ჯაფა წყალში ჩაეყარათ.

– ჩვენ ღიად ვითამაშეთ. იუვენტუსის სიძლიერეს პატივს ვცემდით, მაგრამ ჩვენს გეგმასაც მივდევდით, ვაკეთებდით იმას, რაც ვარჯიშზე მოვამზადეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შედეგის მიღმა ჩვენ ვაჩვენეთ, რომ კრემონეზე ცოცხალი გუნდია. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ უკვე მერამდენედ მივიღეთ შედეგი, რომელსაც ბიჭები არ იმსახურებდნენ.

რაც შეეხება გოლს, რომელიც გავიტანეთ და არ ჩაგვითვალეს, □აიროლდი შესანიშნავი მსაჯია და მომავალში იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი გახდება. თუკი გოლის წინ რაიმე მიზეზით არ დაუსტვენს და თამაშს არ გააჩერებს, ესე იგი გოლი უნდა ჩაითვალოს. იმ ეპიზოდში მან დაუსტვინა, მიიჩნია, რომ თამაშის წესი დაირღვა. მსაჯის ეს გადაწყვეტილება კი შეცდომად მიმაჩნია, მაგრამ გამიზნულ ტენდენციურობად არ აღვიქვამ. დესერსმა უეჭველი გოლი გაიტანა. ის უნდა ჩათვლილიყო, – თქვა ნამატჩევს კრემონეზეს მწვრთნელმა.

ქობულეთის შუქურის ადმინისტრაცია განცხადებას ავრცელებს

ბოლო პერიოდში გავრცელებული ცნობებით, საქართველოს ეროვნულ ლიგაში აღზევებულ საფეხბურთო კლუბ ქობულეთის შუქურას ფინანსური პრობლემები აქვს. კლუბის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, სადაც წერია, რომ ყველა პრობლემა მალე გადაიჭრება და გუნდი უფრო სოლიდური გახდება.

განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„საფეხბურთო კლუბი შუქურა გილოცავთ ახალ 2023 წელს და დამდეგ შობას, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, წარმატებებს და განვითარებას. განსაკუთრებით ვულოცავთ ქართულ საფეხბურთო სამყაროს და იმედს ვიტოვებთ, რომ 2023 წელი როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო თვალსაზრისით პროგრესის და წინსვლის წელი იქნება.

გვსურს ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ შუქურას გარშემო შექმნილ ნეგატიურ საინფორმაციო ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ შუქურას ინვესტორი და მენეჯმენტი აღიარებს დროებითი ფინანსური შეფერხებების ფაქტს, რასაც სუბიექტური და ობიექტური მიზეზები გააჩნია; მიუხედავად იმისა, რომ იდგება ნაბიჯები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, დავალიანების გასასტუმრებლად და 2023-ის სეზონისთვის გუნდის მოსამზადებელი პერიოდის დასაგეგმად, გარე ძალები ცდილობენ კლუბის დისკრედიტაციას და შუქურასთან დაკავშირებით არასასურველი მოლოდინების შექმნას;

ამასთან, ობიექტურობისათვის საჭიროა მეტი დეტალები გავაჟღეროთ. გუნდში, ადმინისტრაცია და პერსონალიანად სულ 50-მდე ადამიანია დასაქმებული. გუნდის სახელფასო ყოველთვიური ბიუჯეტი 160.000 ლარი იყო. საშუალოდ ფეხბურთელებს 3500 ლარი ჰქონდათ ხელფასი. როცა იგივე ლიგაში საშუალო ხელფასი 1000 ლარია. შესაბამისად წლის განმავლობაში გუნდში ინვესტიციამ უკვე 2 მილიონ ლარს მიაღწია.

გვსურს კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ შუქურა არა თუ არ დაიშლება, არამედ ყველა პრობლემა ძალიან მალე გადაიჭრება და ჩვენი გუნდი განვითარების გზით გააგრძელებს სვლას. ახალი ინვესტორის მოსვლის შემდეგ ჩვენ დამაჯერებლად დავძლიეთ ლიგა-2-ის ბარიერი და ელიგაში აღვზევდით, მიღწეულზე შეჩერებას კი არ ვაპირებთ.

კლუბის ინვესტორის მიზანია, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას ინფრასტრუქტურის საკითხი, რაც შუქურას სამომავლო წარმატებებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, მთავარი საფუძველი გახდება. მივმართავთ იმ „კეთილმოსურნეებს“, რომლებიც შუქურას გარშემო აპოკალიპტური სურათის დახატვით საფეხბურთო საზოგადოება შეცდომაში შეგყავთ.

თუ შუქურას ბედი მართლაც გაინტერესებთ და გაღელვებთ, თავი შეიკავეთ ნაჩქარევი და უსაფუძვლო უარყოფითი დასკვნებისგან. ძალიან მალე ყველა დაინახავს, თუ რა დადებითი ძვრები განხორციელდება კლუბის განვითარების მიმართულებით“ – წერია შუქურას ადმინისტრაციის განცხადებაში.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი უსენსაციოდ დაიწყო

ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დაიწყო. ტურნირი ტრადიციულია, 2006 წლიდან იმართება და წელს მისი რიგით მე-18 გათამაშებაა.

წლეულს მემორიალში 6 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი. ა ჯგუფში თავმოყრილია კაკტუსი, რუსთავი და მეგა, ხოლო ბ-ში თსუ, ვერა და ა ლიგის წევრი, ტყიბულის ორბი. გათამაშების ფორმატის თანახმად, თითო ჯგუფიდან ნახევარფინალში 2 საუკეთესო გავა.

მეგა-რუსთავი 90:104

(21:23; 19:23; 20:30; 30:28)

პირველი ტურში რუსთავმა დამაჯერებელი სხვაობით – 104:90 სძლია მეგას და ნახევარფინალში თამაში, ფაქტობრივად, გაინაღდა.

რუსთაველები საწყისი წუთებიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, რომელსაც მეთოდურად ზრდიდნენ. ქვემო ქართლელები მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოდუნდნენ, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

ჯგუფის მეორე მატჩს ანატოლი ბოისას გაწვრთნილი ქვემოქართლელები კაკტუსთან გამართავენ, რომელიც პირველ ტურში ისვენებდა.

რუსთაველთაგან ძალიან კარგი იყო გუგა პატაშური, რომელმაც 20 ქულა 9 მოხსნა მოინაგრა, მაგრამ ეფექტურობის კოეფიციენტით ტრეი კროფტმა აჯობა, ვის ანგარიშზეც 18 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი დაგროვდა, ხოლო ლევან ბაბილოძემ რუსთაველებს 15 ქულა 7 პასი შესძინა. მეგაში გამორჩეული არჩილ პულუზაშვილი იყო – 20 ქულა, 7 მოხსნა, რონი როზიემ 19 ქულა მიითვალა, მაგრამ მათმა გარჯამ გუნდს ვერ უშველა.

ორბი-ვერა 81:89

(16:16; 18:21; 23:25; 24:27)

მეორე შეხვედრაში ვერამ ტყიბულის ორბი 89:81 დაამარცხა. ა ლიგის წარმომადგენელმა სოლიდური წინააღმდეგობა გაუწია სუპერლიგის გუნდს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვების მოპოვება ვერ შეძლო.

თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ ვერა მცირე უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა.

ვერელებს მარტის კიმბრომ (26 ქულა, 8 მოხსნა) და ლუკა ზაქრაძემ (21 ქულა, 9 მოხსნა) ულიდერეს, ხოლო დამარცხებულთაგან კენი კუპერი (21 ქულა) გამოირჩა.

მეორე ტურის მატჩებში თსუ ვერას შეხვდება, ხოლო კაკტუსი – მეგას.

შედეგები

4 იანვარი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

საუთჰემპტონი-ნოტინგემი	0:1
ლიდსი-ვესტ ჰემი	2:2
ასტონ ვილა-ვულვზი	1:1
კრ.პალასი-ტოტენჰემი	0:4

საატჩნიო ცხრილი:

1.არსენალი	17	14	2	1	40-14	44
2.სიტი	16	11	3	2	44-16	36
3.ნიუკასლი	18	9	8	1	32-11	35
4.მანჩესტერი	17	11	2	4	27-20	35
5.ტოტენჰემი	18	10	3	5	37-25	33
6.ლივერპული	17	8	4	5	34-22	28
7.ფულემი	18	8	4	6	30-27	28
8.ბრაიტონი	17	8	3	6	32-25	27
9.ბრენტფორდი	18	6	8	4	30-28	26
10.ჩელსი	16	7	4	5	20-18	25
11.ასტონ ვილა	18	6	4	8	20-26	22
12.კრ.პალასი	17	6	4	7	17-25	22
13.ლესტერი	18	5	2	11	26-31	17
14.ლიდსი	17	4	5	8	25-31	17
15.ნოტინგემი	18	4	5	9	13-34	17
16.ბორნმუთი	18	4	4	10	18-39	16
17.ვესტ ჰემი	18	4	3	11	15-24	15
18.ევერტონი	18	3	6	9	14-24	15
19.ვულვზი	18	3	5	10	11-27	14
20.საუთჰემპტონი	18	3	3	12	15-33	12

იტალია. სერია ა

სალერნიტანა-მილანი	1:2
სასუოლო-სამპდორია	1:2
სპეცია-ატალანტა	2:2
ტორინო-ვერონა	1:1
ლეჩე-ლაციო	2:1
რომა-ბოლონია	1:0
კრემონეზე-იუვენტუსი	0:1
ფიორენტინა-მონცა	1:1
ინტერი-ნაპოლი	1:0
უდინეზე-ემპოლი	1:1

საატჩნიო ცხრილი:

1.ნაპოლი	16	13	2	1	37-13	41
2.მილანი	16	11	3	2	31-16	36
3.იუვენტუსი	16	10	4	2	25-7	34
4.ინტერი	16	11	0	5	35-22	33
5.ლაციო	16	9	3	4	27-13	30
6.რომა	16	9	3	4	19-14	30
7.ატალანტა	16	8	4	4	24-17	28
8.უდინეზე	16	6	7	3	25-18	25
9.ტორინო	16	6	4	6	17-18	22
10.ფიორენტინა	16	5	5	6	19-21	20
11.ბოლონია	16	5	4	7	20-26	19
12.ლეჩე	16	4	6	6	16-18	18
13.ემპოლი	16	4	6	6	13-20	18
14.მონცა	16	5	2	9	17-23	17
15.სალერნიტანა	16	4	5	7	20-26	17
16.სასუოლო	16	4	4	8	16-24	16
17.სპეცია	16	3	5	8	16-28	14
18.სამპდორია	16	2	3	11	8-28	9
19.კრემონეზე	16	0	7	9	11-27	7
20.ვერონა	16	1	3	12	13-30	6

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ქარაგუმრუქი	2:4
ქაშიმფაშა-ალანია	4:1
გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ	2:1
ქონია-სივასი	2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ლამია	3:0
პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი	2:0
პაოკი-არისი	1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 2. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 3. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 5. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 6. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 11. ბირთვული კვლევის საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 13. ზარმაცი, მუქთახორა ადამიანი; 14. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 15. ქართველი პიანისტი მამაკაცი; 17. ფრანგი კომიკოსი მამაკაცი; 18. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ქართული სპორტული რადიო.

თარაზულად: 7. ზღვის ლამისებრი ცხოველი; 8. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 10. ძალიან იშვიათი ნივთი; 12. უმაღლესი განათლების წამალთმცოდნე; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. თურქეთის პრეზიდენტი; 18. ლირიკული ჟანრის სატრფიალო მეგრული სიმღერა; 20. ცხოველთა სამყარო; 21. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 22. ქართველი დრამატურგი, სცენარისტი, რეჟისორი, მარიონეტების თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 23. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თუტმოსი; 2. სიგალი; 3. მისისიპი; 4. გენეტიკა; 7. ქათინაური; 8. ესკულაპი; 12. ბადაგონი; 14. იმბეცილი; 16. ვანდომი; 17. შარბათი; 19. გემა; 20. გომი.

თარაზულად: 5. სუროგატი; 6. კვირინალე; 9. ჯორჯია; 10. ლაფსუსი; 11. ეკერი; 13. ბახში; 15. ამლახუ; 18. იანძი; 21. შინჰოფერი; 22. ოოლოგია; 23. ბაგრატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წუმწუმა; 2. ეკერი; 3. სატელიტი; 4. დილეგი; 5. თაღლითი; 6. ვაქცინა; 11. ბიგლი; 13. ტრაპერი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. აქსისი; 18. ტოლედო; 19. გეტა.

თარაზულად: 7. სუდოკუ; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. ცაგარელი; 18. ტალავარი; 20. ალაფი; 21. ონი; 22. სიტროენი; 23. ქისი; 24. იაკიტორია.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 იანვარი

- აშშ დოლარი — 2.7086
- ევრო — 2.8749
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2568
- 100 რუსული რუბლი — 3.7682

ამინდის პროგნოზი 6 იანვრისათვის

კვარაცხელიამ იტალიის ჩემპიონატში პირველი მარცხი განიცადა

ნაპოლი სტუმრად ინტერთან დამარცხდა 0:1 და ხვიჩა კვარაცხელიამ მოედანზე 75 წუთი გაატარა. კვარაცხელია აქტიური იყო, მაგრამ ინტერი მის წინააღმდეგ უხეშად თამაშობდა. ამის გამო ქართველს უჭირდა გამწვავება და მეტოქის კართან მომენტების შექმნა. საბოლოოდ ინტერმა შეძლო ნაპოლის შეტევის გაენეიტრალება და თავისი შანსი გამოიყენა. ნაპოლი, წაგების მიუხედავად, მაინც პირველ ადგილზე დარჩა.

აზარი სეზონის ბოლოს რეალს დატოვებს



ედენ აზარი რეალში დარჩენას არ აპირებს, რადგან ამ გუნდში მას კარიერა არ წაუვიდა და კარლო ანჩელოტიმ რამდენჯერმე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის აზარზე აქცენტს არ აკეთებს. ედენ აზარმა განაცხადა, რომ შეეცდება ინგლისის ჩემპიონატში დაბრუნებას, თუმცა კონკრეტული გუნდი არ დაუსახელებია. შესაძლოა აზარმა საფრანგეთს მიაშუროს, სადაც მისი კარიერა დაიწყო.

კლოპი: „დასკვნები აუცილებლად უნდა გავაკეთოთ“

ლივერპულმა ბრენტფორდთან წააგო 1:3. ამ მატჩის შემდეგ კლოპსა და მის გუნდს ბევრს აკრიტიკებენ, რადგან ლივერპულის რეგრესი სახეზეა. კლოპმა თქვა, რომ ლივერპულის ჩამოწერა ჯერ ნაადრევია და გუნდი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის: „სამწუხაროა, რომ ასეთ მატჩებში ქულებს ვკარგავთ, მაგრამ ეს დასასრული არ არის. ჩვენ შეგვიძლია მაღალ დონეზე თამაში“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„თბილისის ბიგ ბენდი“ უფასო კონცერტს გამართავს

7 იანვარს, შობის დღესასწაულზე, „თბილისის ბიგ ბენდი“ უფასო კონცერტს გამართავს.

ორბელიანის მოედანზე გამართულ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ „თბილისის ბიგ ბენდის“ მუსიკოსები და სოლისტები. ისინი შეკრებილი მსმენელისთვის სპეციალურად საშობაო და საახალწლო პროგრამას წარმოადგენენ.

ასტროპროგნოზი



6 იანვრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. ** კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** – რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შეესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **მშვილდოსანი** – შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** – დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ქალო, ჩემი ჯინსის შარვალი რა უყავი?
– თედოს მივეცი, მაინც არ მოგწონდა...
– რატო დედაშენიც არ გააყოლე, რას ამბობ, იმაზე ხომ მზე და მთვარე ამომდის...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:
– შენს ცოლს რომ ვხედავ, მიხარია.
– რატომ?
– იმიტომ, რომ ჩემი ცოლი არ არის.

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:
– მამიკო, რატომ არ შეიძლება ამ ფილმის ბავშვებისთვის ნახვა?
– ხელს ნუ მიშლი! უყურე და თვითონ მიხვდები.

●●●

ორი თანასოფლელი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:
– ცუდად რომ ვიყავი, რეიზა არ მნახე?
– არ მეგონა, თუ გადარჩებოდი, თვარა რაფრა არ გნახავდი.

●●●

ბავშვს ეკითხებიან:
– რა ჰქვია იმ ადამიანს, რომელსაც არ უსმენენ, ის კი მაინც ლაპარაკობს?
– მასწავლებელი.

●●●

ქალი მხატვარს ეკითხება:
– ჩემი პორტრეტი მართლა კარგი გამოვა?
– ისეთი მშვენიერი იქნება, რომ საკუთარ თავს თვითონაც ვერ იცნობთ.

●●●

მამაკაცი გვიან ღამით მთვრალი ბრუნდება სახლში. ეზოში შესულს ძაღლმა თავისი ჯიხურიდან ყეფა დაუწყო. კაცი ეუბნება:
– გაჩერდი, შე სულელო, თორემ ცოლი გაიღვიძებს და მერე ვნახოთ, შენ სადღა დაიძინებ!

●●●

მედდა ექიმს ეკითხება:
– ექიმო, 74 წლის ქალისთვის რამ გათქმევინათ, რომ ფეხმძიმედაა?
– სამაგიეროდ, ხომ აღარ ასლოკინებს!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– საყვარელო, მართალია, რომ ჩემი თავი ღმერთმა გამოგიგზავნა?
– კი, ძვირფასო, ოღონდ არ ვიცი, რა ცოდვებისთვის...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზურა შევარდნაძეს ინდურ ფილმში იღებენ

გარდენია შევარდნაძის დამაარსებელ ზურა შევარდნაძეს ინდურ ფილმში იღებენ. ის ინდოეთში იმყოფება და გადაღებებისთვის ემზადება:

– ჩავფრინდით ინდოეთში. ფილმში „მაჰარაჯას მებაღე“, რომელსაც ბრიტანელები იღებენ, შესაძლოა დამამტკიცონ მთავარ როლზე. საცდელი, შესარჩევი გადაღებები დაიწყო და ყველაფერი უსაშველოდ საინტერესოა, მაგრამ – რთული.

მაგალითად, ხვალ მაჰარაჯას დიდი ნადიმი აქვს. მე ყვავილებითა და გირლანდებით უნდა მოვრთო სასახლე და ეზო. დღეს ბაზარში ვიყავი ყვავილებისთვის გადამღებ ჯგუფთან ერთად.

სანამ გარდენიაში ზამთრის არდადეგებია, დაკეტილია. ხომ არ მოვცდები?! ღმერთო, შემაძლებინე.

შობის დღესასწაული ორბელიანის მოედანზე კონცერტით აღინიშნება

„შობის მოლოდინში“ – ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც 6 იანვარს ორბელიანის მოედანზე გაიმართება.

ქართული სიმღერის კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ეკა მამალაძე, მაია ჯაბუა, ნუკრი კაპანაძე, აჩიკო ნიჟარაძე, დათუნა სირბილაძე, გიორგი სუხიტაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, ნათია პერანიძე, თბილისური კვარტეტი, ანსამბლები: „ქართული ხმები“, „„დიდგორი“, „ჰერიო“. ბენდი: ნინო გულიაშვილი (პიანისტი), ირაკლი კვანჭიანი (პიანისტი), ნოდარ ექვთიმიშვილი (ბასი), ავით მასტერანოვი (გიტარა), გიორგი სალაღიშვილი (დრამი), დიტო საკანდელიძე (პერკუსია).

შემსრულებლები ყველა თაობისათვის საყვარელი სიმღერებით წარდგებიან მსმენელის წინაშე.

ორბელიანის მოედანზე დაგეგმილი კონცერტის წამყვანები ნიკოლოზ წულუკიძე და კახა მიქიაშვილი იქნებიან.

„რეზო და ბავშვები“ თბილისში საახალწლო კონცერტებზე არ მიიწვიეს

ჯგუფი „რეზო და ბავშვები“ თბილისში გამართული საახალწლო კონცერტების მიღმა დარჩნენ:

– მიუხედავად იმისა, რომ კონცერტები ნამდვილად არ გვაკლია, ალბათ მაინც თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ არცერთ საახალწლო კონცერტზე, რომლებიც ჩატარდა თბილისში, არ დაგვიძახეს

შეგახსენებთ, რომ ვერც თბილისობისა და ვერც საახალწლო ღონისძიებების ვერცერთ სცენაზე ვერ მოვხვდით, მომცროზეც კი.

არადა, ისეთი ნაგლებიც ნუ იქნებით „„მერიაში“, გაბედოთ და თქვათ, რომ „„რამე კრიტერიუმს“ ვერ ვაკმაყოფილებთ.

რა ლოგიკით ეძახით „„ნებისმიერ“ სხვას და არა ჩვენ?

თბილისის მერია – თქვენს შვილებს მაინც ჰკითხეთ, ვინ უყვართ და რა უნდათ.

ჩვენ დავუსვამთ კითხვებს კახი კალაძეს, რომელიც თქვენ, მერიის „„წურბელებს“, აუცილებლად მოგთხოვთ პასუხს. აბა, ხალხის თქვენ არ გესმით, რეალობას თქვენ ვერ გრძნობთ და თქვენი „„ნათლულები“ ჩვენ არ ვართ და „„რაფერ გაგაგებინოთ?“ – ნათქვამია „რეზო და ბავშვების“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 2. რომან „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. აზრი, ჩანაფიქრი; 20. მარადმწვანე წიწვოვანი ხე.

თარაზულად: 5. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. სენეგალის დედაქალაქი; 11. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. საჭმელი სოკო; 18. ლუკ ბესონის ფილმი; 21. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 22. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ხეობა კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა